



მიღება-ჩაბარების აქტი


ქ. თბილისი

9 მარტი, 2018 წელი

მხარეები, ერთის მხრივ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში - გივი ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ტარიელ დავითაშვილი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ტარიელ დავითაშვილის სახით, წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ „მიმწოდებელმა“ შეასრულა მხარეთა შორის 2018 წლის 30 იანვარს გაფორმებული N50-300118-01 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ - მონაწილეობა მიიღო სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და „ფრონტერა“ რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნს“ შორის მიმდინარე სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით გამართულ ორ სასამართლო სხდომაში და უზრუნველყო N50-300118-01 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალის ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა და თარგმანის სანოტარო წესით დამოწმება. მომსახურება შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 550 ლარი.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება მხარეთა ხელმოწერებით.

<p>„შემსყიდველი“ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ს/კ: 206237491</p>	<p>„მიმწოდებელი“ ი/მ ტარიელ დავითაშვილი პირადი N13001005296</p>
<p>დირექტორი ფინანსურ საკითხებში</p> <p> გივი ბახტაძე</p>	<p> ტარიელ დავითაშვილი</p>



სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“
დირექტორს ფინანსურ საკითხებში
ბატონ გივი ბახტაძეს

კორპორაციის გენერალური დირექტორის
2018 წლის 30 იანვრის N01/01-03-3001/1
ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის

დასკვნა

ბატონო გივი,

როგორც მოგეხსენებათ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ („შემსყიდველი“ ან „კორპორაცია“) და ი/მ „ტარიელ დავითაშვილს“ („მიმწოდებელი“) შორის 2018 წლის 30 იანვარს გაფორმდა N50-300118-01 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მიმწოდებელმა იკისრა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვალდებულება. მომსახურების ფარგლებში, მიმწოდებელს N50-300118-01 ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში (2018 წლის 2 თებერვლის ჩათვლით) უნდა მოეხდინა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო კომპანია საქნავთობს და „ფრონტერა“ რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშნს“ (შემდგომში: „ფრონტერა“) შორის 1997 წლის 25 ივნისს გაფორმებული „პროდუქციის წილობრივი განაწილებისა და გადამამუშავებელი ქარხნის შესწავლის შესახებ“ კონტრაქტის (შემდგომში: „პწგბ“) 13.1., 13.7. და 19.7. პუნქტების ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა და შემდგომში თარგმანის სანოტარო წესით დამოწმების უზრუნველყოფა, ხოლო საჭიროების (თუკი აღმოჩნდებოდა შეუსაბამობა „ფრონტერას“ მიერ წარმოდგენილ თარგმანსა და „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებულ თარგმანს შორის) შემთხვევაში, მიეღო მონაწილეობა „ფრონტერას“ მიერ წარმოდგენილი თარგმანის შემსრულებელთან (თარჯიმანთან) შეხვედრაში და „ფრონტერასა“ და „შემსყიდველს“ შორის მიმდინარე სასამართლო დავის განხილვაში.

„მიმწოდებელმა“ შესრულებული თარგმანის თავდაპირველი ვერსია ელ. ფოსტის საშუალებით მხარეთა შეთანხმებისამებრ, 2018 წლის პირველ თებერვალს გასაცნობად გადმოაგზავნა „კორპორაციაში“ (ლ. ენდელაძის და ვ. ხიდაშელის კორპორატიული ელ. ფოსტის მისამართებზე). კორპორაციის მოსაზრებები/რეკომენდაციები თარგმანთან დაკავშირებით ვ. ხიდაშელმა „მიმწოდებელს“ აცნობა იმავე დღეს. აღნიშნულის შემდეგ, „მიმწოდებელმა“ მიმდინარე წლის 2 თებერვალს ლ. ენდელაძის და ვ. ხიდაშელის კორპორატიული ელ. ფოსტაზე გადმოაგზავნა თარგმანის საბოლოო ვარიანტი და გამოთქვა მზადყოფნა, „კორპორაციის“ დასტურის შემთხვევაში იმავე დღეს მოეხდინა თარგმანის სანოტარო წესით დამოწმება, თუმცა, გარკვეული ობიექტური გარემოებების გამო (მათ შორის, თარგმანის გადამოწმების, თარგმანს და მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ალტერნატიულ თარგმანს შორის ტერმინოლოგიური შეუსატყვისობის მიზეზების დადგენის და დასაბუთების აუცილებლობა და სხვა) „მიმწოდებელს“ „კორპორაციის“ დასტური ეცნობა დაგვიანებით - 8 თებერვალს. „კორპორაციის“ დასტურის შემდეგ, „მიმწოდებელმა“ იმავე დღეს (8 თებერვალს) წარმოადგინა სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი. იმის გათვალისწინებით, რომ თარგმანის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში წარმოუდგენლობა არ იყო გამოწვეული „მიმწოდებლის“ ბრალით, ინსპექტირების ჯგუფის პოზიციით, „მიმწოდებელს“


თარგმანის დაგვიანებით წარმოდგენა უნდა ჩაეთვალოს საპატიოდ და მას არ უნდა დაეკისროს N50-300118-01 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

თარგმანის წარმოდგენის შემდეგ, მოდავე მხარეთა შეთანხმების და სასამართლოს წინადადების შესაბამისად, „მიმწოდებელსა“ და „ფრონტერას“ მიერ წარმოდგენილი თარგმანის შემსრულებელს/თარჯიმანს შორის უნდა გამართულიყო შეხვედრა (რათა შეუსაბამობების გამომწვევი ძირითადი მიზეზების გარკვევა მომხდარიყო თარჯიმნების შეხვედრაზე, აღნიშნულისათვის სასამართლოში საჭირო არ გამხდარიყო დიდი დრო და სასამართლოში თარჯიმნების გამოკითხვა ერთ სასამართლო სხდომაში დასრულებულიყო), თუმცა, მოგვიანებით „ფრონტერამ“ უარი განაცხადა ამგვარ შეხვედრაში მონაწილეობაზე, რის გამოც შეხვედრა ვერ შედგა. აღნიშნული გარემოების გამო, 2018 წლის 15 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ვერ მოხერხდა თარჯიმნების გამოკითხვის დასრულება და აუცილებელი გახდა „მიმწოდებლის“ განმეორებით გამოცხადება მიმდინარე წლის 22 თებერვალს გამართულ სხდომაზე.


როგორც მოგეხსენებათ, N50-300118-01 ხელშეკრულებით „მიმწოდებლის“ ერთ სასამართლოს სხდომაზე გამოცხადების და აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობის საფასური განსაზღვრულია 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულის და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ინსპექტირების ჯგუფის პოზიციით „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ მომსახურება გაუწია ჯეროვნად, შესაძლებლად მიგვაჩნია მხარეთა შორის გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი და „მიმწოდებელს“ აუნაზღაურდეს 550 ლარი, საიდანაც 500 ლარი არის „მიმწოდებლის“ ორ სასამართლო სხდომაზე გამოცხადების და აღნიშნულ სხდომებში მონაწილეობის, ხოლო 50 ლარი თარგმანის და სანოტარო წესით დამოწმების საფასური.

პატივისცემით,


ვაჟა ხიდაშელი - სტრატეგიული დაგეგმვისა და პროექტების დეპარტამენტის მრჩეველი (ჯგუფის უფროსი);



ლიანა ლომიძე - კომერციულ საკითხებში დირექტორის თანაშემწე (ჯგუფის წევრი);



გიორგი გორგასლიძე - ფინანსური დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის წევრი);



ლევან ენდელაძე - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი).

